განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2020 წლის 9 მრტი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2020 წლის 7 მაისი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციოლოგიის ბაკალავრი 0314
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იაგო კაჭკაჭიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ დალაქიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან ზაზაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

1. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სულხან-საბას სასწავლო უნივერსიტეტში სოციოლოგიის საბაკლავრო პროგრამაზე მუშაობა დაიწყო 2019 წლიდან. 2019 წლის ოქტომბერში, რექტორის ბრძანებით შეიქმნა ამ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომელმაც უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგისა და მისი დამტკიცების წესის შესაბამსიად შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამა.

აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულს:
„(A) შესძინოს სოციოლოგიის საფუძვლებისა და ძირითადი თეორიების, ასევე, სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალური მიმართულების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა;
(B) განუვითაროს სოციოლოგიური პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე, ეფექტური კომუნიკაციის, სოციოლოგიის მიმართულებით ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
(C) ჩამოუყალიბოს სოციალური კვლევის პრაქტიკული და სოციოლოგიის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
(D) სოციოლოგიის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
(E) მისცეს სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ და თანამედროვე თემაზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარჩვევები, სოციოლოგიური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა “.

პროგრამის მიერ დასახული მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები და ამ შედეგების მიღწევისთვის გათვალისწინებული სწავლის მეთოდები. სოციოლოგიის საბაკალვრო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. ის ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე სავალდებულო-არჩევით და არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრულ კრედიტებს.

2. აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 9 მარტს. ვიზიტამდე, 7 მარტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (იაგო კაჭკაჭიშვილი, მარიამ დალაქიშვილი, რუსუდან ზაზაძე), რომელმაც განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას, ინტერვიუების პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

9 მარტს, სულხან-საბას სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ხუთი სტანდარტის მიხედვით, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ ასეთი შედეგი აჩვენა:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბაკალავრო პროგრამა მეტ-ნაკლებად პრობლემური აღმოჩნდა მეორე სტანდარტის (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება) 2.2. და 2.3. ქვესტანდარტებთან მიმართებით (2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი და 2.3. სასწავლო კურსი). კერძოდ, შენიშვნები გამოითქვა სასწავლო პროგრამაში კურსების შინაარსობრივი გადაფარვის, ცალკეულ საგნებში სასწავლო ლიტერატურის სიმწირის, პროგრამაში ცალკე მოდულის არსებობის მიზანშეწონილობის, პროგრამაში ჩართული ზოგიერთი პედაგოგის კვალიფიკაციისა და პროგრამის ხელმძღვანელებს შორის კომპეტენციების გამჯვნის მიმართულებით.

4. რეკომენდაციები

1. საბაკალავრო ნაშრომების მომზადებას კურირებს პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომლის კვლიფიკაცია სოციოლოგიაში ამოიწურება სოციოლოგიის ბაკალავრის ხარისხით, მიზანშეწონილია, რომ საბაკალავრო ნაშრომების მენეჯმენტში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის მეორე ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია დოქტორის ხარისხი სოციოლოგიაში.

2. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ორი ხელმძღვანელის კვალიფიკაციის (სოციოლოგიის დარგში) არსებითი განსხვავებიდან გამომდინარე, აუცილებელია, მათ შორის განხორციელდეს კომპეტენციათა მკვეთრი გამიჯვნა. კერძოდ, პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებლობა აიღოს დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელმა. ეს გულისხმობს პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსების რევიზიას, პედაგოგთა მოწვევას და ა.შ; რაც შეეხება მეორე ხელმძღვანელს, ის ძირითადად დაკავდეს პროგრამის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხებით.

აქედან გამომდინარე, პროგრამას ჰყავდეს არა თანაბარი უფლებამოსილების მატარებელი ორი ხელმძღვანელი, არამედ ერთი ძირითადი ხელმძღვანელი და ერთიც - თანახლმძღვანელი, რომელიც ასისტირებას გაუწევს ძირითად ხელმძღვანელს.

4. აუცილებელია, რომ აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ კურსებს შორის:

- კლასიკური სოციოლოგიური თეორიები და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 1;
- თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2 და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები;
- სოციალური მეცნიერებების კვლევის მთოდები და თვისებრივი სოციოლოგიური კვლვეის მეთოდები..

5. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კურსს „სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები“, რომელიც პრაქტიკულად იმეორებს თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სილაბუსს. „სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები“ ან საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული პროგრამიდან, ან შეიცვალოს მისი ფოკუსი და კურსმა აქცენტი დასვას სოციალური მცნიერებების მეთოდოლოგიურ მიდგომებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალური კვლევის კონკრეტულ მეთოდებს

6. აუცილებელია, რომ “სოციოლოგიის შესავლის“ და „რელიგიის სოციოლოგიის“ კურსებისსილაბუსები გამდიდრდეს ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული ლიტერატურით.

5. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პროგრამის აღწერაში გამოყენებულია ტერმინები „სპეციალობის სავალდებულო“ და „სპეციალობის არჩევითი“ კურსები. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების თანხმად, არ გამოიყენება ისეთ ტერმინი, როგორიცაა „სპეციალობა“, არამედ მიზნშეწონილია, აქცენტი გაკეთდეს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებზე. ამდენად, სასურველია, რომ პროგრამის შინაარსის რევიზია განხორციელდეს შესაბამისი ტერმინების გამოყენებით.

2. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების 80% მეტს კითხულობენ მოწვეული პედაგოგები, რაც სერიოზული გამოწვევაა

პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისთვის. მოწვეული კომისიის რჩევაა, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა მიზანმიმართულად იზრუნოს სოციოლოგიის მიმართულებით საკუთარი „სტაფის“ შექმნაზე და მოწვეული პედაგოგების ნაწილი აქციოს შტატიან პედაგოგებად პროფესორის სხვადასხვა სტატუსით.

3. პროგრამა განიცდის დოქტორის ხარისხის მქონე პედაგოგების მწვავე ნაკლებობას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული ადამიანური რესურსების შეზღუდულობიდან გამომდინარე, სოციოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონეთა ჩართვა პროგრამაში ძალზე რთულია, პროგრამის იმ პედაგოგს, რომელიც სპეციალობის სავალდებულო საგნებს კითხულობს, მაგისტრის ხარისხი მაინც უნდა ჰქონდეს სოციოლოგიაში.

4. სასურველია, მოხდეს წამახალისებელი ღონისძიებების გატარება სტუდენტთა სწავლებისა და აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, სტდენტის მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

6. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ასეთი არ არსებობს.

7. განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ასეთი არ არსებობს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი ადეკვატურად არის განსაზღვრული, რამდენადაც მითითებულია, რომ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს როგორც სოციოლოგიის სფეროში დაგროვილი თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ემპირიული კვლევების ჩასატარებლად. უფრო კონკრეტულად, სოციოლოგიის სასწავლო პროგრამის მიზანია, სტუდენტს... • შესძინოს სოციოლოგიის საფუძვლებისა და ძირითადი თეორიების, ასევე, სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალური მიმართულების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა; • განუვითაროს სოციოლოგიური პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე, ეფექტური კომუნიკაციის, სოციოლოგიის მიმართულებით ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი; • ჩამოუყალიბოს სოციალური კვლევის პრაქტიკული და სოციოლოგიის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები; • სოციოლოგიის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები; • მისცეს სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ და თანამედროვე თემაზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარჩვევები, სოციოლოგიური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა წარმოდგენილ დოკუმენტებში ახსნილია სასწავლო პროგრამის შქმნის წვლილი, რომელიც, ძირითადად, მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამა ხელს შეუწყობს კვალიფიციური სპეციალისტების გამრავლებას შრომის ბაზარზე, რაც თავად დარგის განვითარებისთვისაც სასარგებლოა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამი მიზნის ადეკვატურობას აჩვენებს:
- საბაკალავრო პროგრამის აღწერა;
- თვითშეფასების დოკუმეტი
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არსებობს.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს კურსდამთავრებულთა ცოდნა/გაცნობიერებას, უნარებს და მათი მათი პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის ხარისხს. კერძოდ, კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს: ა) სოციოლოგიის ძირითადი თეორიებისა კვლევის მეთოდების შესახებ საბაზისო ინფორმაციას; ბ) სოციალური პრობლემების იდენტიცირებისა და ემპირიული სოციოლოგიური კლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს; გ) პროფესიული ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს.

სასწავლო პროგრამის შინაარსობრივი მიმოხილვა აჩვენებს, რომ წარმოდგენილი პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მიაღწიოს სწავლის გაწერილ შედეგებს. ამას ემსახურება კურიკულუმით გაწერილი როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნები. მაგალითად, ცოდნა/გაცნობიერებას ემსაურება სხვადასხვა კუტსი სოციალურ თეორიებში, კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული კურსები და დარგობრივი სოციოლოგიის მომცველი კურსები. უნარების განვითარებას, ისევე როგორც პროფესიული ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჩვევებს გამომუშავებას ემსახურება სოციოლოგიის პრატიკუმთან დაკავშირებული კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის აღწერა და პროგრამის მესვეურებთნ (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არსებობს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

რჩევები, მოცემული მიმართულებით, არ იკვეთება.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალაცრო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე მიღების გამჭვირვალე კრიტერიუმები. კერძოდ, როგორც პროგრამაშია გაწერილი, *"ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე"* პროგრამა, ასევე, განსაზღვრავს შიდა და გარე მობილობის თავსებურებებს. კერძოდ, მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის აღწერა და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები. აგრეთვე, პროგრამაზე მიღების წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, არსებითად, შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდოლოგიის გამოყენებით. რც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსები უზრუნველყოფს იმ საგანამანთლებლო შედეგებზე გასვლას, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული. კერძოდ, პროგრამა შედგება: • საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან • ე.წ. „სპეციალობის“ (ძირითადი სწავლის სფეროს) სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან

საუნივერსიტეტო სავალდებული სასწავლო კურსები ჯამურად მოიცავს 24 კრედიტს (ECTS), საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტს; ე.წ. „არასპეციალობის“ (ანუ, არაძირითადი სწავლის სფეროს) არჩევითი სასწავლო კურსები - არანაკლებ 12 კრედიტს; ე.წ. „ძირითადი სპეციალობის კომპონენტი“ შედგება 144 კრედიტისგან, რომელიც, თავი მხრივ, მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს (ე.წ. „სპეციალობის) სავალდებულო (96 (ECTS) და არჩევით (48 (ECTS) კურსებს. არჩევითი კურსები მოაზრებს, აგრეთვე, თავისუფალი კრედიტების აღების შესაძლებლობას მაქსიმუმ 24 კრედიტის მოცულობით.

პროგრამა, ასევე შეიცავს მოდულს - გენდერი და კულტურის კვლევები, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ამ მოდულისთვის სავალდებულო საგნებისგან (მოდულის ფარგლებში დასაგროვებელი კრედიტების სავალდებულო რაოდენობაა 12 ECTS).

ე.წ. „სპეციალობის“ (ანუ, ძირითადი სწავლის სფეროს) სავალდებულო საგნებში, ძირითადად, გაერთიანებულია სოციალური თეორიები (კლასიკური, თანამედროვე, პოსტმოდერნული) და ემპირიული სოციალური კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი და თვისებრივი), აგრეთვე, სპეციალური ინგლისური სოციოლოგებისთვის და პრაქტიკა სოციოლოგიაში. რაც შეეხება სპეციალობის არჩევით საგნებს, ისინი, ძირითადად, მოცავს დარგობრივ სოციოლოგიებს (რელიგიის, ენის, პოლიტიკის, დანაშაულის, მართვის სოციოლოგია) და მათთან შინაარსობრივად დაკავშირებულ საგნებს (კრიმინოლოგია, ვიქტიმოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია და ა.შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალობის (ანუ, ძირითადი სწავლის სფეროს) სავალდებულო და არჩევით საგნებს უმეტეს შემთხვევში კითხულობენ დარგის (სოციოლოგიის) სპეციალისტები, რომელთაც აკადემიური (საბაკალავრო/სამაგისტრო) ან სამენიერო (დოქტორის) ხარისხები აქვთ მოპოვებული სოციოლოგიაში.

პროგრამის ხელმძღვანელებიდან ერთ-ერთს (რომელიც უცხოელია და პოლონეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტს წარმოადგენს) სადოქტო ხარისხი აქვს მოპოვებული სოციოლოგიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის აღწერა, პროგრამაში ჩართული პედაგოგების ბიოგრაფიები და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

პროგრამის აღწერაში გამოყენებულია ტერმინები „სპეციალობის სავალდებულო“ და „სპეციალობის არჩევითი“ კურსები. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების თანხმად, არ გამოიყენება ისეთ ტერმინი, როგორიცაა „სპეციალობა“, არამედ მიზნშეწონილია, აქცენტი გაკეთდეს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სვალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებზე. ამდენად, სასურველია, პროგრამის შინაარსის რევიზია განხორციელდეს შესაბამისი ტერმინების გამოყენებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (სავალდებულო და არჩევითი) შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს. კურსების საკრედიტო მოცულობა უზრუნველყოფს კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა ძირითადად პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს და აცნობს სტუდენტებს მოცემული დარგის თანამედროვე მიღწევებს. სასწავლო კურსებში ფიქსირდება შინაარსობრივი გადაფარვები. კერძოდ გადაფარვები შეიმჩნევა შემდეგ კურსებში: • კლასიკური სოციოლოგიური თეორიები და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 1; • თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2 და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები; • სოციალური მეცნიერებების კვლევის მთოდები და თვისებრივი სოციოლოგიური კვლვეის მეთოდები. პროგრამაში არსებობს სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსები, რომლებშიც ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია მხოლოდ ერთი წიგნი. არადა, სოციოლოგიაში არსებობს ქართულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენება სწავლის პროცესს გაამდიდრებს. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ისეთი კურსები, როგორებიცაა „სოციოლოგიის შესავალი“ და „რელიგიის სოციოლოგია“. ამ კურსების სილაბუსები ეყრდნობა მხოლოდ ერთ სავალდებულო ლიტერატურას, მაშინ როდესაც, ორივე მიმართულებით არსებობს ქართულ ენაზე თარგმნილი სხვა შესანიშნავი ლიტერატურაც (მაგალითად, სოციოლოგიის შესვალში ენტონი გიდენსის „სოციოლოგია“ და რელიგიის სოციოლოგიაში ემილ დიურკემის „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“, მაქს ვებერის „რელიგიის სოციოლოგია“ და ა.შ.)
მტკიცებულებები/ინდიკატორები მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის აღწერა და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:

აუცილებელია, რომ აღმოიფხვრეს გადაფარვები შემდეგ კურსებს შორის:

- კლასიკური სოციოლოგიური თეორიები და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 1;
- თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2 და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები;
- სოციალური მეცნიერებების კვლევის მთოდები და თვისებრივი სოციოლოგიური კვლვეის მეთოდები..

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კურსს „სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები“, რომელიც პრაქტიკულად იმეორებს თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სილაბუსს. ეს კურსი („სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები“) ან საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული პროგრამიდან, ან შეიცვალოს მისი ფოკუსი და კურსმა აქცენტი დასვას სოციალური მცნიერებების მეთოდოლოგიურ მიდგომებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალური კვლევის კონკრეტულ მეთოდებს (ასეთი მიდგომებია, მაგალითად, პოზიტივიზმი, ჰერმენევტიკა, კონსტრუქტივიზმი და ა.შ.).

2. აუცილებელია, რომ “სოციოლოგიის შესავლის“ და „რელიგიის სოციოლოგიის“ სასწავლო კურსების სილაბუსები გამდიდრდეს ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული ლიტერატურით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

იმ პედაგოგებიდან, რომლებიც სოციოლოგიის სპეციალობის სავალდებულო საგნებს კითხულობენ, მხოლოდ ერთს აქვს სოციოლოგიის დოქტორის ხარისხი, ნაწილს - სოციოლოგიის მაგისტრის და ზოგიერთს - სოციოლოგიის ბაკალავრის. ეს ნიშნავს, რომ პროგრამა განიცდის დოქტორის ხარისხის მქონე პედაგოგების მწვავე ნაკლებობას. გასაგებია, რომ საქართველოში არსებული ადამიანური რესურსების შეზღუდულობიდან გამომდინარე, სოციოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონეთა ჩართვა პროგრამაში ძალზე რთულია, თუმცა, პროგრამის იმ პედაგოგს, რომელიც სპეციალობის სავალდებულო საგნებს კითხულობს, სულ მცირე, მაგისტის ხარისხი მაინც უნდა ჰქონდეს სოციოლოგიაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არსებობს

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არსებობს

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც აუცილებელია ემპირიული სოციოლოგიური კვლევების ჩასატარებლად. სოციოლოგია, თეორიულთან ერთად, გამოყენებითი მეცნიერებაა, რომელიც მოითხოვს ემპირიული კვლვეის მეთოდების ცოდნას და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავლდებულო კურსებს: • რაოდენობრივი და თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები • პრაქტიკუმი სოციოლოგიაში (როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებში) • სოციოლოგიის გარე პრაქტიკა აღნიშნული კურსების საკრედიტო მოცულობა სავსებით საკმარისია ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ადეკვატური უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს ტრანსფერული უნარების განვითარებას - კერძოდ, ითვალისწინებს სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის მიზანმიმართულ და გააზრებულ გადატანას პრაქტიკაში, კვლევებში. გარდა ამისა, პროგრამა გულისხმობს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას, ეფუძნება თეორიეული და გამოყენებითი კვლევების სინთეზის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის აღწერა და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: საბაკალავრო ნაშრომების მომზადებას კურირებს პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, , რომლის კვლიფიკაცია სოციოლოგიაში ამოიწურება სოციოლოგიის ბაკალავრის ხარისხით, მიზანშეწონილია, რომ საბაკალავრო ნაშრომების მენეჯმენტში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის მეორე ხელმძღვანელი რომელსაც გააჩნია დოქტორის ხარისხი სოციოლოგიაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის რჩევები, მოცემული მიმართულებით, არ გვაქვს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არსებობს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იყენებს სწავლებ-სწავლების სხვადასხვა მეთოდს, როგორებიცაა: ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული სწავლება და სხვ. ამ მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. პროგრამაში ჩართული სხვადასხვა კურსი ისწავლება სწორედ ამ მეთოდების გამოყენებით. სოციალური თეორიების შესწავლაზე მიმართული კურსები ძირითადად იყენება ლექციის, სემინარისა და სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდებს. რაც შეეხება კვლევის მეთოდებისა და სოციოლოგიის პრაქტიკუმის კურსს, ამ შემთხვევაში აქტიურად გამოიყენება პრაქტიკული მუშაობისა და ჯგუფური მუშაობის მეთოდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის აღწერა და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება განხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების სისტემის შემდეგი ფორმა: • სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 40 ქულა; • შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა; • დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ არსებული სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია მიიღოს ელექტრონული პორტალის გამოყენებით, რითაც იგი თავისუფალია არჩევანის უფლებით მოახდინოს კურსებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და მოერგოს სასწავლო პროცესს. ეს უკანასკნელი, უმნიშვნელოვანესია სწავლის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. პროგრამის სტუდენტების შეფასება ხდება ხუთი სახის დადებითი ((A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა, (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა, (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა) და ორი სახის

უარყოფითი ((FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა და (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები) შეფასებით. (FX) ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ხოლო (F) ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სოციოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით, ლექტორი იღებს ვალდებულებას სილაბუსის პრეზენტაცია მოახდინოს ჯგუფში პირველივე მეცადინეობაზე; სილაბუსებით გათვალისწინებულია სტუდენტის, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შეფასების მიზნით, სემესტრის ბოლოს სტუდენტების გამოკითხვას. სტუდენტებს ეძლევათ სპეციალური კითხვარი შესავსებად, გამოკითხვას ატარებს თვით ლექტორი სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების განვითარების და საკუთარი კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სოციოლოგიის ბაკალავრის პროგრამის - შეფასების მეთოდების რუკა; • სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა; • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია, მოხდეს წამახალისებელი ღონისძიებების გატარება სტუდენტთა სწავლებისა და აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სტდენტის მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტთა საკონსულტაციო საათები გაწერილია სტანდარტის მიხედვით. თითოეული კურსის სილაბუსში ნათლად და კონკრეტულად არის მოცემული საკონსულტაციო შეხვედრების დეტალები. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუების შედეგად ირკვევა ლექტორის/პროფესორის მხრიდან სტუდენტისთვის კონსულტაციის გაწევის მზაობა. უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფეტარენციებსა და კვლევებში. ამ უკანასკნელზე მეტყველებს, უნივერსიტეტის საერთაშორისო პროექტები (http://sabauni.edu.ge/ge/foreign-relations/partner-universities) თუმცა, ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ სტუდენტთა მხრიდან მათი აქტიურობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ინფორმირებულობაზე. გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტებისა და პროფესორის კომუნიკაცია მიმდინარეობს ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის (იგუსიხმება Facebook.com) მეშვეობით. შესაბამისად, ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, რომ ინფორმაციას სტუდენტური აქტივობების, ან კონსულტაციების შესახებ ზოგიერთი სტუდენტი არ ფლობდა. მეორე მხრივ, სტუდენტთა უცხო ენის, კონკრეტულად ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციაზე, რამდენადაც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში არის წარმოდგენილი ინგლისურ ენოვანი კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ლექტორების ინდივიდუალური დატვირთვების ცხრილი;
- ინტერვიუ არსებული მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერისტეტს აქვს შემუშავებული, პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა არის ამ მეთოდლოგიასთან შესაბამისობაში - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდნეობაა 32, მათგან 13 -

აკადემიური პერსონალია, ხოლო 19 - მოწვეული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ დარგის საგნების თვალსაზრისით შევხედავთ პროგრამაში ჩართულ პერსონალს, სოციოლოგიის საგნების უმეტესობა იკითხება მოწვეული პედაგოგების მიერ. მიუხედვად იმისა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგიის პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ სწავლის შედეგების შესაბამისად გამოუმუშაოს სტუდენტებს კომპეტენციები. დარგობრივ საგნებში, მოწვეულთა წილი გარკვეულ სირთულეებს ქმნის პროგრამის მდგრადობის თავლსაზრისით. აღნიშნულ საკითხზე რამდენჯერმე დაისვა კითხვა ადმინისტრაციასთან და პროგრაამის ხელმძღვანელთან შეხვედრისას. გამოვლინდა, რომ პროგრამის განმახორციელებლებიც ხედავენ ამ მიმართულებით აკადემიური პერსონალის მოზიდვის საჭიროებას და აქვთ შესაბამისი ხედვა.

თვითშეფასებისა და ინტერვიუების თანახმად, სოციოლოგიის საბაკალვრო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი . წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პირველი მათგანი არის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში უკავია ასისტენტის პოზიცია. მეორე ხელმძღვანელი არის სოციოლოგიის დოქტორი პოლონეთიდან და იკავებს ასისტენტ პროფესორის თანამდებობას იოანე-პავლე II-ის ლუბლანის კათოლიკურ უნივერსიტეტსა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერისტეტში. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამის ორი ხელმძღვანელიდან ერთს, სოციოლოგიის მიმართულებით აქვს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი, ვიზიტის ფარგლებში დაისვა კითხვები პროგრამის ხელმძღვანელებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებისა და პროგრამის განვითარებაში ჩართულობის შესახებ.

გამოვლინდა, რომ პროგრამის ორივე ხელმძღვანელი აქტიურად თანამშორმლობს ერთმანეთთან, თუმცა ასევე გამოვლინა რომ სწავლებში ჩართულ მასწავლებელთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს ჰქონდა კომუნიკაცია მეორე ხელმძღვანელთან სასწავლო კურსებთან და პროგრამასთან დაკავშირებით.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეების ანალიზით, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურა და პერსონალის შრომის გადანაწილება უზრუნველყოფს სტუდენტებს სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამების მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- მოწვეული და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები;

რეკომენდაციები:

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ორი ხელმძღვანელის კვალიფიკაციის (სოციოლოგიის დარგში) არსებითი განსხვავებიდან გამომდინარე, აუცილებელია, მათ შორის განხორციელდეს კომპეტენციათა მკვეთრი გამიჯვნა. კერძოდ:

- პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებლობა აიღოს დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელმა. ეს გულისხმობს პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსების რევიაზიას, პედაგოგთა მოწვევას და ა.შ; რაც შეეხება მეორე ხელმძღვანელს, ის ძირითადად დაკავდეს პროგრამის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხებით.
- აქედან გამომდინარე, პროგრამას ჰყავდეს არა თანაბარი უფლებამოსილების მატარებელი ორი ხელმძღვანელი, არამედ ერთი ძირითადი ხელმძღვანელი და ერთიც - თანახლმძღვანელი, რომელიც ასისტირებას გაუწევს ძირითად ხელმძღვანელს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების 80%-ზე მეტს კითხულობენ მოწვეული პედაგოგები. მოწვეული პედაგოგების ხარჯზე ფუნქციონირებისას სერიოზული გამოწვევა ექმნება პროგრამის მდგრადობასა და განვითარებას. მოწვეული პედაგოგები, როგორც წესი, მობილობის მაღალი ხარისხით ხასიათდებიან და ინსტიტუციური ვალდებულების შესუსტებული განცდა გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, კომისიის რჩევაა, რომ სუხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა მიზანმიმართულად იზრუნოს სოციოლოგიის მიმართულებით საკუთარი „სტაფის“ შექმნაზე და მოწვეული პედაგოგების ნაწილი აქციოს შტატიან პედაგოგებად (პროფესორის სხვადასხვა პოზიციის შესაბამისად).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
უსდ-ს აქვს სასწავლო პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმები. ვიზიტის ფარგლებში განხორცილებულ შეხვედრებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უსდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად იყენებს შეფასებებს და შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გეგმავს სწავლებაში ჩართული პერსონალის განვითარების სამომავლო სტრატეგიას. პერსონალის პროფესიული და კვლევითი საქმიანობის თვალსაზრისით, უსდ-ს აქვს ორ კატეგორიად დაყოფილი ღონისძიებები: ერთი გულისხმობს ზემოთ ხსენებული შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით ღონისძიებების დაგეგმვას, ხოლო მეორე - საჭიროებების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ტრენინგების შეთავაზებას. უსდ-ში მოქმედებს პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ტრენინგების განხორციელებას. უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს სხვადასხვა უსდ-ებთან. უნივერისტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო მობილობაში, ტრენინგებსა და პროექტებში. ადმინისტრაციისა და პერსონალის თქმით, სამეცნიერო საქმიანობის წახალისების მიზნით, უსდ-მ შეიმუშავა აფილირებული პერსონალისათვის ანაზღაურებადი აქტივობები და მათი დროითი ნიშნულები, რაც სამომავლოდ მათ ჩართულობას გაზრდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; o საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება; o საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის მიმართ დაწესებულ მოთხოვნებს, რაც პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია კომფორტული სასწავლო გარემო, სწავლებისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა უსადენო ინტერნეტთან (Wi-Fi).

სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა და ოთახები აღჭურვილია თანამედროვე კონდინცირების სისტემებით;

აკადემიურ პერსონალს აქვს სამუშაო სივრცე და ასევე თავისუფალი წვდომა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან;

უსდ-ს შენობაში განთავსებულია ბიბლიოთეკაც, რომელიც აღჭურვილია სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურით, რიდერებითა და სხვა სასწავლო მასალებით, რომლის შევსება და განახლება ხდება სისტემატურად. ასევე სტუდნტებისათვის ხელმისაწვდომია სამუშაო სივრცეები, როგორც დამოუკიდებელი, ისე ჯგუფური სამუშაოებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ვიზიტის პროცესში ინტერვიუებზე მიღებული ინფორმაცია;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სულხან-საბას სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯები, მათ შორის: o პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება; o წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრება; o ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ანაზღაურება, სასწავლო/კვლევით ვიზიტებში მონაწილეობა; პროგრამის დაფინანსების წყაროს ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ყოველსემესტრულად გადახდილი სწავლის საფასურის გარდა, წარმოადგენს ასევე სასწავლო უნივერსიტეტის

სხვა საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების მიერ გაცემული მიზნობრივი გრანტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; o ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. დაწესებულებაში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. პროგრამის განვითარებასა და დახვეწაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. სოციოლოგიის საბაკლავრო პროგრამა წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის სსწვლო უნივერსიტეტის ახალ პროგრამას. ამდენად, პროგრამას ამ ეტაპზე არ ჰყავს სტუდენტები. ამ გარემოებიდან გამომდინარე, სოციოლოგიის საბაკალვრო პროგრამის შემუშავებისას, პროგრამის სამუშაო ჯგუფი დაეყრდნო მომიჯნავე მიმართულების სტუდენტების უკუკავშირს. წარმოდგენილ კვლევის ანგრიშებსა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ასევე დასტურდება პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების და პროგრამის დახვეწის პროცესში აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალისა და დამსაქმებლების ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ამსახავი დოკუმენტები; o თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; o წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგები;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადასტურებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმის არსებობას. პროგრამის შემუშავების ეტაპზე, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილება სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით. პროგრამის დახვეწისა და განვითარებისათვის ასევე გამოყენებულ იქნა კოლეგიალური შეფასების მეთოდი. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულ შეხვედრებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაცია ასახულია სასწავლო პროგრამაში (ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება და სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ამსახავი დოკუმენტები; o თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
წარმოდგენილ დოკუმენტებსა და განხორციელებულ შეხვედრაბზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას რომ სულხან-საბას სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, წელიწადში ერთხელ ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი. ჩართული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების მონაცემებს ეცნობა ხარისხის უზუნველყოფის სამსახური, რის საფუძველზეც ამზადებს პროგრამის შეფასების ანგარიშს. ეს ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელისთვის წარმოადგენს პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების საფუძველს. იქიდან გამომდინარე, რომ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ჯერ არ წამოადგენს მოქმედ პროგრამას, მის შესაფასებლად შეგროვდა ის ინფორმაცია, რაც პროგრამის შესაქმნელად და წარსადგენად იყო მნიშვნელოვანი. ახალი პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმის შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელებთან/ადმინისტრაციასთან/აკადემიურ პერსონალთან/ სტუდენტებთან/ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით გამოვლინდა საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, დაისახა სამუშაო მიმართულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ამსახავი დოკუმენტები;

o თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; o წარმოდეგილი გამოკითხვის შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

იაგო კაჭკაჭიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

მარიამ დალაქიშვილი

რუსუდან ზაზაძე